სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 იანვარი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/10

ბსუ-ს საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, 52-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის (ბსუ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის N27/ნ ბრძანების და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 24 0000077988, 26.01.2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საარჩევნო დებულება წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. <u>**ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი**</u> ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანება.**
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს და ფაკულტეტების მართვის ორგანოებს, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის წევრებს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ''
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის №06-01/10
დადგენილების
N1 დანართი

ბსუ-ს საარჩევნო დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ'') საარჩევნო დებულებით განისაზღვრება უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის (დირექტორის) არჩევნების გამოცხადების და ჩატარების რეგულაცია, მათ შორის: პროცედურები; საარჩევნო სიების ფორმირების, საარჩევნო ბიულეტენის დამზადების, საარჩევნო ყუთის, არჩევნების ორგანიზების/პროცედურების, არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამების, ბიულეტენების ბათილობის და შემაჯამებელი ოქმების ფორმირების, დამკვირვებლის სტატუსის მოპოვებისა და უფლება-მოვალეობების, დარღვევის ოქმის შედგენის, არჩევნების შედეგების გამოცხადებისა და გასაჩივრების რეგულაცია.

2. ბსუ-ს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებისა და ბსუ-ს რექტორის პერსონალური განკარგულებით (რეზოლუციით) საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია ასევე უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ბსუ-ს სტუდენტური თვითმმართველოს არჩევნების (ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე) ორგანიზება- ჩატარებას.

მუხლი 2. ბსუ-ში არჩევნების გამოცხადებისა და ჩატარების რეგულირება

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის არჩევნები ცხადდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

3. არჩევნების გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე უნივერსიტეტის, ფაკულტეტების და ინსტიტუტების თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

მუხლი 3. საარჩევნო კომისიები (ფორმირება, ინტერესთა შეუთავსებლობა)

1. უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიები.

2. საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი. საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი. კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენელი.

3. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე, კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, განსაზღვრავს მისი ჩატარების დროსა და ადგილს, უზრუნველყოფს საარჩევნო დოკუმენტაციის და მასალების მომზადების კონტროლს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს/ოქმებს და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომისიის მდივნად, კომისიის პირველივე სხდომაზე, აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი, ფარული კენჭისყრით და დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის სხდომების დღის წესრიგსა და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შესულ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის ცნობებს, ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია:

ა) არჩევნების ჩატარების მიზნით მიიღოს გადაწყვეტილებები არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილებანი ამ დებულებით, არჩევნების გამოცხადების აქტით, ბსუ-ს წესდებითა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) საფაკულტეტო საარჩევნო კომისიას დააკისროს კანდიდატთდა რეგისტრაციის ორგანიზაციის უზრუნველყოფა;

დ) კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მოხსნას დარეგისტრირებული კანდიდატი არჩევნებიდან.

6. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე უნივერსიტეტის მართვის ორგანოს წევრობის კანდიდატი (ინტერესთა შეუთავსებლობა).

7. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიების წევრები (თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები) შესაძლებელია თავიანთი ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან იღებდნენ ანაზღაურებას, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 4. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვის ორგანოებში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვის ორგანოებში კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია, რომელიც უფლებამოსილია საფაკულტეტო საარჩევნო კომისიას დააკისროს რეგისტრაციის ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

2. მართვის ორგანოებში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება **არანაკლებ 5 სამუშაო დღით.** კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია ვალდებულია მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი

დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი აღმოფხვრას კანდიდატთა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადაში.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში.

4. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის ვადაში.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით. დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასევე უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით არჩეული წარმომადგენელი.წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ბსუ-ს წესდებისა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

3. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობით საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

4. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტებზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის პროპორციულად.

5. წარმომადგენლობით საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

მუხლი 6. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის ასისტენტი.

2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, გარდა ასისტენტისა. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში ირჩევს ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წარმომადგენელი.

3. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 5 სამუშაო დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.

მუხლი 7. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა, სპიკერისა და მდივნის არჩევა და უფლებამოსილების შეწყვეტა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომა მოიწვევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. ამავე სხდომაზე ხდება ახალარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა.

3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ირჩევს სპიკერს, ფარული კენჭისყრით, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელსაც სპიკერის კანდიდატურა წარედგინება წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების არანაკლებ 10 პროცენტის მიერ, წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 დღეში.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის ორი ან მეტი კანდიდატურის წარდგენის შემთხვევაში თუკი ვერცერთმა მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმები, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, ასეთ შემთხვევაში სპიკერად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. იგივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუკი კენჭისყრაში მონაწილეობს ერთი კანდიდატი. თუ ასეთ შემთხვევებში ვერ იქნება არჩეული სპიკერი, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში უნდა გაიმართოს ხელახალი კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების არანაკლებ 10 პროცენტის მიერ ბოლო კენჭისყრის გამართვიდან მომდევნო 3 სამუშაო დღეში წარმოდგენილი სხვა კანდიდატი (ები).

5. უნივერსიტეტის სპიკერის არჩევიდან 2 კვირის ვადაში, მისი ვინაობის შესახებ ინფორმაციას სარეგისტრაციოდ წარუდგენს სამინისტროს.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან ამ საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს არჩევნები

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც 4 წლის ვადით აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს ჰყავს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული რაოდენობის წარმომადგენელი.

3. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტიდან, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა მიერ აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა ამ ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

4. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან, ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.

5. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. **აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია** მიმდინარეობს არანაკლებ 5 სამუშაო დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი აღმოფხვრას კანდიდატთა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადაში.

7. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების მეტი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება არჩევნები უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად.

მუხლი 9. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. რექტორის არჩევნებს აცხადებს აკადემიური საბჭო და აქვეყნებს განცხადებას რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ განცხადებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება, საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე.

4. რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადების, რექტორის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და არჩევნების თარიღების, მათ შორის არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დროის შესახებ.

მუხლი 10. უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატის რეგისტრაცია

1. უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

2. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. კანდიდატთა რეგისტრაციას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.

3. კანდიდატმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (განაცხადი; სამოქმედო გეგმა; განათლების დამადასტურებელი; შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა).

4. პირი, რომელსაც უნივერსიტეტში ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, რექტორობის კანდიდატად შეიძლება დარეგისტრირდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 11. რექტორის არჩევა

1. რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ ერთ კვირაში იმართება უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები.

2. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას (აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საჯაროდ).

3. უნივერსიტეტის რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. დაუშვებელია რექტორი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის 2 ვადას.

4. რექტორის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.

5. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში თუ სხდომას არ ესწრება ან კენჭიშყრაში არ მონაწილეობს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, არჩევნები არ შემდგარად ცხადდება.

6. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატი. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში არ გამოვლინდა საუკეთესო შედეგების მქონე 2 კანდიდატი, ცხადდება ხელახალი არჩევნები ბსუ-ს წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

7. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს აკადემიური საბჭოს ხმათა სიითი შემადგენლობის უმრავლესობას.

8. რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 12. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევა

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებს აცხადებს აკადემიური საბჭო და აქვეყნებს განცხადებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აისახება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და არჩევნების თარიღები, მათ შორის არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო.

3. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 5 სამუშაო დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს კანდიდატთა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადაში.

4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელძღვანელის კანდიდატურის განცხადებების რეგისტრაციას და კონკურსის წესით აკადემიური საბჭოს მიერ მისი შერჩევის ფარულობას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.

5. აკადემიური საბჭო შემოსულ განცხადებებს განიხილავს 20 დღის ვადაში, ეცნობა კანდიდატურებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. აკადემიური საბჭოს უარი კანდიდატურის წარმომადგენლობით საბჭოში წარდგენის შესახებ უნდა იყოს წერილობითი. უარის გასაჩივრება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

1. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით.

2. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ თავის შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინოს ახალი ან იგივე კანდიდატურა. კანდიდატურის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო ატარებს ამ თავით გათვალისწინებულ შერჩევის პროცედურას და კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ახალ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. პირი, რომელსაც ეკავა რექტორის თანამდებობა უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც რექტორის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 14. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს 4 წლის ვადით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შესარჩევად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს და აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კონკურსის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და კანდიდატურის შერჩევის თარიღები, მათ შორის კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო.

3. განცხადებების მიღების ვადის დასრულებიდან 10 დღის ვადაში აკადემიური საბჭო შეარჩევს კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის წარდგენიდან 5 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს კანდიდატურას.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო აცხადებს ხელახალ კონკურსს და ახალ შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც არ შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაუმტკიცებელი კანდიდატურა.

6. კანდიდატურის შერჩევის განმეორებით კონკურსის გამოცხადებისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი ვადები.

7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურების განცხადებების რეგისტრაციასა და აკადემიური საბჭოს მიერ მისი შერჩევის ფარულობას უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ამ თავით გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 15. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისაგან და ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼ -ზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა აღემატება ამ რაოდენობას, მაშინ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არჩევნების ჩატარებას. ფაკულტეტის საბჭოში აირჩევიან სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენლების არჩევიდან არა უგვიანეს 5 დღისა. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 16. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

1. დეკანადის თანამდებობაზე 4 წლის ვადით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ აირჩევა ამავე ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადების, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და დეკანის არჩევნების თარიღების, მათ შორის კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დროის შესახებ.

3. ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს. ორი ან მეტი კანდიდატის შემთხვევაში თუკი ვერცერთმა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმები, არჩევნებიდან არაუადრეს მე-3 და არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა, უნდა გაიმართოს დეკანის არჩევნების მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

4. დეკანის არჩევნების მე-2 ტურის შედეგად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა უფრო მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მიიღო უფრო მეტი ხმა. თუ მეორე ტურშიც არ გამოვლინდა გამარჯვებული კანდიდატი, ცხადდება ფაკულტეტის დეკანის ხელახალი არჩევნები, წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ფაკულტეტის საბჭოებს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს (შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა).

2. ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კანდიდატურის/კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს, რაც ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით (გადაწყვეტილებაში მიეთითება არჩეული კანდიდატის უფლებამოსილების განხორციელების დაწყების ვადა).

3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატურის აურჩევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახალ კანდიდატურას წარადგენს 3 დღის ვადაში.

4. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატის შერჩევის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

მუხლი 18. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა ასარჩევი კანდიდატი სარგებლობს თანაბარი უფლებებით.

2. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატებს, ამომრჩევლებს უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.

3. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

4. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს (გარდა დარეგისტრირებული კანდიდატი ადმინისტრაციული თანამდებობის პირისა).

5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

6. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას.

7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არა აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობაზე. ყველა კანდიდატისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი. უარი არის წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს შესახებ გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 19. საარჩევნო სიები

1. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო (ამომრჩეველთა) სიებს ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შესახებ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით.

2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო (ამომრჩეველთა) სიებს ადგენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის შესახებ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

3. საარჩევნო სიები ამომრჩეველი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის დგება ცალ-ცალკე. სტუდენტთა საარჩევნო სიებში შეიტანება ფაკულტეტის ყველა აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა მონაცემები.

4. ფაკულტეტის სტუდენტთა საარჩევნო სიებში შეიტანება ამ ფაკულტეტის ყველა სტუდენტის მონაცემები, რომლებსაც არ აქვთ შეჩერებული სტუდენტის სტატუსი.

5. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიაში შეიტანება ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენლის მონაცემები. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების შემთხვევაში, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიაში არ შეიყვანება ასისტენტი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს როგორც უნივერსიტეტის სტუდენტი.

6. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ამომრჩეველთა სიაში შეიტანება ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წარმომადგენლის მონაცემები.

7. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ამომრჩეველთა სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და იმ მართვის ორგანოს დასახელება, რომლის არჩევნები ტარდება;

ბ) ამომრჩევლის სახელი და გვარი; პირადობის მოწმობის/პასპორტის პირადი ნომერი და დაკავებული აკადემიური/ სამეცნიერო თანამდებობა.

8. სტუდენტების ამომრჩეველთა სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ფაკულტეტის და იმ მართვის ორგანოს დასახელება, რომლის არჩევნები ტარდება;

ბ) ამომრჩევლის სახელი და გვარი; პირადობის მოწმობის/პასპორტის პირადი ნომერი და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სწავლობს ამომრჩეველი.

9. აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მიერ უნივერსიტეტის მართვის ორგანოს, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევის მიზნით აკადემიური საბჭოს/წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა (ამომრჩევლების) სიებს ადგენს შესაბამისი მართვის ორგანოს სამდივნოს უფროსი და წარუდგენს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას. აღნიშნულ ამომრჩეველთა სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

აკადემიური საბჭოს/წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა (პერსონალის შემთხვევაში)/სტუდენტის სტატუსი და ფაკულტეტი/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომლის წარმომადგენლად არის ეს წევრი არჩეული შესაბამის საბჭოში.

10. დაუშვებელია ერთი და იგივე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის ან/და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო სიაში შეტანა.

მუხლი 20. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენები მზადდება და იბეჭდება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობითა და პასუხისმგებლობით.

3. საარჩევნო ბიულეტენები აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის იბეჭდება ცალ-ცალკე.

4. საარჩევნო ბიულეტენში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) მართვის ორგანოს დასახელება, რომლის არჩევნებიც ტარდება;

ბ) ვისთვის არის საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისთვის, თუ სტუდენტთათვის;

გ) ასარჩევი კანდიდატის რიგითი ნომერი, სახელი და გვარი.

5. დაუშვებელია ამომრჩეველზე ერთზე მეტი ბიულეტენის გაცემა.

6. საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველზე გაიცემა პირადობის მოწმობის/პასპორტის წარდგენის შემთხვევაში.

მუხლი 21. საარჩევნო ყუთი

1. უნივერსიტეტში არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთებით. თითოეულ საარჩევნო კომისიას წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისათვის გადაეცემა 3 საარჩევნო ყუთი აკადემიური, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე, სხვა მართვის ორგანოს არჩევნებისათვის კი - ერთი ყუთი.

2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა იგი, აგრეთვე მინიშნება იმის შესახებ, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისთვისაა განკუთვნილი თუ სტუდენტთათვის.

3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

4. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი მართვის ორგანოსა და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

5. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 22. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

2. უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანო/სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

3. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების არჩევნების დღეს კენჭისყრის (ხმის მიცემა)დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება შესაბამისი მართვის ორგანოს არჩევნების გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტის (რექტორის ბრძანების/აკადემიური საბჭოს დადგენილების/ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების) შესაბამისად. კენჭისყრისათვის განსაზღვრული დრო არ უნდა იყოს 1 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს.

4. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების (კენჭისყრის) დაწყებამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს.

5. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას წილისყრაში.

მუხლი 23. არჩევნების პროცედურა

1. არჩევნების დღეს (დროს) ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ იგი მიდის ბიულეტენზე ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც შემოხაზავს მისთვის სასურველი ერთი კანდიდატურის რიგით ნომერს, მოათავსებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან.

2. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.

მუხლი 24. შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას საარჩევნო სიებში შესრულებული ხელმოწერების მიხედვით. აღნიშნული ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისას გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა (სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლის არჩევის შემთხვევაში კი - ამ ერთეულის სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის) და სტუდენტებისათვის.

3. მართვის ორგანოთა არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა 1/3 მაინც, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისას ეს ოდენობა განისაზღვრება აკადემიური პერსონალისა (სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლის არჩევის შემთხვევაში კი - ამ ერთეულის სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის) და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე.

4. არჩევნების შედეგად არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი (კანდიდატები).

5. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისას პირველად იხსნება და ითვლება აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი საარჩევნო ყუთი, ხოლო შემდეგ – სტუდენტებისათვის.

6. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

7. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურის რიგითი ნომერი;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ე) მასზე არ არის მითითებული იმ მართვის ორგანოს (ფაკულტეტის,დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და სხვა) სახელწოდება, სადაც ტარდება არჩევნები.

8. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებისას შემაჯამებელი ოქმი ივსება ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა (სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლის არჩევის შემთხვევაში კი - ამ ერთეულის სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის) და სტუდენტთათვის.

9. შემაჯამებელ ოქმში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 25. დამკვირვებელი

1. უნივერსიტეში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 5 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას (კანცელარიის მეშვეობით) დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი და არჩევნებში მონაწილე პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის/ების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარმოდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოში ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული თანამდებობის პირი;

გ) იმ მართვის ორგანოს ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა; მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;

ბ) წარადგინოს საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში.

6. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

7. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებაში.

მუხლი 26. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ბსუ-ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი საარჩევნო რეგულაციის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ამომრჩეველი, უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;

ვ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;

ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 27. არჩევნების შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს არჩევნების შედეგების გამოქვეყნება უნივერსიტეტის და შესაბამისი ფაკულტეტების/ინსტიტუტის საინფორმაციო დაფებზე, ასევე უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. არჩევნებში მონაწილე კანდიდატს, ამომრჩეველს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს უფლება აქვს არჩევნების შესახებ ბსუ-ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით შეიტანოს საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო სამუშაო დღის 18:00 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

3. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

4. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

6. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის ან/და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 28. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 29. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე საარჩევნო დებულებას ამტკიცებს აკადემიური საბჭო და ცვლილებების ან/და დამატებით შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

2. წინამდებარე საარჩევნო დებულებას და ბსუ-ს წესდებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბსუ-ს წესდების დებულებებს/საქართველოს საკანონმდებლო აქტებს.

3. ბსუ-ს რექტორი უფლებამოსილია წინამდებარე დებულების მოთხოვნათა აღსრულების (პროცედურის დაზუსტების) მიზნით გამოსცეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.